დანართი N1

საფუძველი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის

2016 წლის 30 მარტის N02-05/92 ბრძანება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს სტაჟირებას

სამუშაოს აღწერა:

სტაჟირება მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურში:

1. **ვებ-გვერდის რედაქტორის სტაჟიორი/თანაშემწე - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ ვებ-გვერდზე განსათავსებელი პროგრამებისა და მასალების დროული შეგროვება;
- ✓ ვებ-გვერდზე განსათავსებელ პროგრამებსა და მასალებში აღმოჩენილი ხარვეზებზე რეაგირება;
- ✓ ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების გეგმიური ატვირთვა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

2. **სტუდიის კომპიუტერის ოპერატორის სტაჟიორი/თანაშემწე - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ ტიტრების მომზადებაში ოპერატორის მხარდაჭერა;
- ✓ პროგრამის ჩაწერის ან/და პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს - სასცენარო გეგმას და გადაცემაში განსათავსებელ ტიტრებში გამართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ ტიტრების ეთერში განთავსებისას და ელექტრონული სუფლიორით სარგებლობისას გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირება;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

3. **სტუდიისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის ოპერატორის სტაჟიორი/თანაშემწე - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ ვიდეოკამერების მომზადებაში ოპერატორის მხარდაჭერა, გადაღების ან პირდაპირი ეთერის მომზადების პროცესში მონაწილეობა;
- ✓ გადასაღებად საჭირო დეკორაციის დაყენებაში ოპერატორის მხარდაჭერა;
- ✓ აპარატურის სწორი ექსპლუატაცია, ხოლო ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება უშუალო ხელმძღვანელისთვის;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

4. **ხმის რეჟისორის სტაჟიორი/თანაშემწე - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ ხმის ჩაწერის, მონტაჟისა და პირდაპირი ეთერის წარმოებისას რეჟისორის დახმარება;
- ✓ სასცენარო გეგმების გაცნობა;
- ✓ გადაღებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობების მეთვალყურეობა (სამკერდე მიკროფონები, ყურსასმენები და სხვა);
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

5. **ცენტრალური სააპარატოს რეჟისორის სტაჟიორი/თანაშემწე - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ განვითარების სამსახურის მიერ მიწოდებული/დაგეგმილი მომდევნო დღის პროდუქციის ჩაბარებაში/ტექნიკური შემოწმებაში რეჟისორის მხარდაჭერა;

- ✓ დაგეგმილი სეეთერო ბადის მიხედვით პროდუქციის ეთერში განთავსებაში რეჟისორის მხარდაჭერა;
- ✓ საეთერო ბადეში დაუგეგმავი ცვლილების შემთხვევაში გადასვლების სწორ დაგეგმავში მხარდაჭერა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

◘ სტაჟირება საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში:

1. დილის გადაცემების შემოქმედებით ჯგუფში სტაჟიორი/თანაშემწე - 4 ვაკანტური ადგილი
- ✓ თემების გამოვლენაში, ანალიზსა და შერჩევაში რეჟისორის/პროდიუსერის მხარდაჭერა;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება;
- ✓ პროდიუსერებთან და რედაქტორთან ერთად გადაცემების დაგეგმვაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

2. შემოქმედებითი გადაცემების ოპერატორის თანაშემწე/სტაჟიორი -2 ვაკანტური ადგილი
- ✓ სამუშაო მასალის დროული მომზადება;
- ✓ აუდიო/ვიდეო ჩაწერისათვის მობილიზება;
- ✓ ექსტრემალური და განსაკუთრებული პირობების არსებობისას სიტუაციის გაანალიზება;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის დავალებების შესრულება.

3. შემოქმედებითი გადაცემების მემონტაჟის თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი
- ✓ ვიდეომასალის დამონტაჟების პროცესში მონაწილეობა ვიდეოკონტენტზე პასუხისმგებელი პირის მითითებითა და ზედამხედველობით;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება;

◘ სტაჟირება ახალი-ამბების სამსახურში

1. რეპორტიორის თანაშემწე/სტაჟიორი - 4 ვაკანტური ადგილი
- ✓ თემების გამოვლენა, ანალიზსა და შერჩევაში რეპორტიორების მხარდაჭერა;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება;
- ✓ ექსკლუზიური თემების მოძიების პროცესში ჩართულობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

2. ოპერატორის თანაშემწე/სტაჟიორი - 4 ვაკანტური ადგილი
- ✓ სამუშაო მასალის მომზადებასთან დაკავშირებით მითითებების დროულად და ხარისხიანად განხორციელება;
- ✓ ტელეპროდუქციის შექმნისას (ინტერვიუს ჩაწერის, სიუჟეტის გადაღების და ა.შ.) ოპერატორის მხარდაჭერა და ტექნიკის მობილიზების პროცესში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

◘ სტაჟირება საკადრო ბაზის განვითარების სამსახურში

1. სამსახურის უფროსის თანაშემწე/სტაჟიორი - 1 ვაკანტური ადგილი
- ✓ თანამშრომლების პირადი საქმეების ადმინისტრირებაში მხარდაჭერა;
- ✓ თანამშრომელთა შეფასებისა და ანგარიშგების სისტემების განხორციელებაში მხარდაჭერა;

- ✓ თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების სისტემის ორგანიზებაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება;

სტაჟირება სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურში

1. სატელევიზიო განვითარების მენეჯერის თანაშემწე/სტაჟიორი -1 ვაკანტური ადგილი

- ✓ მედიაორგანიზაციის განვითარების საჭიროებების გამოვლენის პროცესში მონაწილეობა;
- ✓ მართვისათვის საჭირო კრეატიული გეგმის მოფიქრების პროცესში მონაწილეობა;
- ✓ ავტორების, რედაქტორებისა და თანამშრომლების გამოკითხვაში მხარდაჭერა;
- ✓ შიდა ბრეინშტორმინგების ორგანიზებაში ჩართულობა და შედეგების ანალიზი;
- ✓ გადაცემების განვითარების საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით ლოიალური მაყურებლების პერიოდულ გამოკითხვაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

სტაჟირება რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის სამსახურში

1. რადიოს მუსიკალური წამყვანის თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი

- ✓ რადიოს მუსიკალური გადაცემების მომზადებაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

2. რადიოს ოპერატორ-მემონტაჟეს თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი

- ✓ რადიოს მუსიკალური გადაცემების მომზადებაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

3. მუსიკალური რედაქტორის თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი

- ✓ რადიოს მუსიკალური გადაცემების მომზადებაში მონაწილეობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

4. რადიოს ვებ რედაქტორის თანაშემწე/სტაჟიორი ფუნქციონალის მიმართულებით - 1 ვაკანტური ადგილი

- ✓ რადიოს ვებ ფუნქციონალის განვითარების საჭიროებებისა და შესაძლებლობების მუდმივი გამოვლენის პროცესში ჩართულობა;
- ✓ რადიოს ვებ ფუნქციონალის განვითარების ახალი იდეების მუდმივ გენერირებასა და შერჩევაში მონაწილეობა;
- ✓ რადიოს ვებ ფუნქციონალის განვითარების ღონისძიებების მხარდაჭერა.
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

5. რადიოს ვებ რედაქტორის თანაშემწე/სტაჟიორი ვებ კონტენტის მიმართულით - 2 ვაკანტური ადგილი

- ✓ რადიოს ვებ გვერდის კონტენტის განვითარების შესაძლებლობების მუდმივი გამოვლენის პროცესში მონაწილეობა;
- ✓ რადიოს ვებ-გვერდზე დასადები კონტენტის, მისი პერიოდულობისა და თანმიმდევრობის განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა;
- ✓ რადიოს ვებ გვერდზე განთავსებული კონტენტის ფორმატის განვითარებაში ჩართულობა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

- **სტაჟირება იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის შესყიდვების განყოფილებაში**

1. **შესყიდვების განყოფილების სამსახურის უფროსის თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ შესყიდვების ეფექტურად განხორციელების თაობაზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადებაში მხარდაჭერა;
- ✓ სატენდერო წინადადებებისა და ხელშეკრულებების პირობების პროექტების მომზადებაში მხარდაჭერა;
- ✓ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგში მხარდაჭერა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

- **სტაჟირება მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურში**

1. **მონიტორინგის თანაშემწე/სტაჟიორი - 2 ვაკანტური ადგილი**

- ✓ მრჩეველთა საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების შესრულების/აღსრულების კონტროლში მონიტორის მხარდაჭერა;
- ✓ სატელევიზიო/რადიო გადაცემებში არსებული ხარვეზების გამოვლენაში მონიტორის მხარდაჭერა;
- ✓ სტაჟირების ხელმძღვანელის მითითებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები:

- ✓ მაღალი მოტივაცია;
- ✓ ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ✓ ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- ✓ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, მოწესრიგებულობა, დეტალებზე ორიენტირებულობა;
- ✓ დროის ეფექტურად დაგეგმვის უნარი;
- ✓ გუნდური მუშაობის უნარი.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft OfficeWord	კარგი
MicrosoftOfficeExcel	კარგი
MicrosoftOfficeOutlook	კარგი

დამატებითი მოთხოვნები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტაჟიორად შეიძლება დაინიშნოს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მესამე ან მეოთხე კურსის სტუდენტი ან შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

დამატებითი ინფორმაცია

სტაჟირების მსურველმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, 14 დღის ვადაში საკონტაქტო ელ-ფოსტაზე უნდა წარმოადგინონ:

- ✓ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- ✓ უმაღლესი განათლების ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 100 სიტყვა);
- ✓ CV

პირს რომელსაც სურს კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოსაგზავნ ელ-ფოსტის (HR@ajaratv.ge) სათაურის ველში უნდა მიუთითოს იმ სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის და პოზიცი(ებ)ის დასახელება, სადაც სურს სტაჟირების გავლა. ერთდროულად შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ ორი პოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

სტაჟირების ხანგრძლივობა: 3 თვიდან 6 თვემდე

სტაჟირების დასრულების შემდეგ წარმატებული სტაჟიორებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატი (თანხმობის შემთხვევაში ჩაირიცხებიან რეზერვში);
უცხო ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესად.

კონკურსის ეტაპები

- ✓ განცხადების გადარჩევა
- ✓ გასაუბრება

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ;
კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვისა;
კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;
განცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 2016 წლის 15 აპრილი

თანამდებობრივი სარგო: ანაზღაურების გარეშე;

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის ქუჩა N41 და N57;

სამუშაოს ტიპი: სტაჟირება

ინფორმაციის მიღების დამატებითი რესურსი: http://ajaratv.ge/files/attach/stajireba-debuleba.pdf

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ტელეფონები: 593 34 54 34
საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge